

## ბხსუ-ს სტიპენდიები

➤ ბხსუ-ში დაწესებულია შემდეგი სახელობითი სტიპენდიები:

- აბუსერისძე ტბელის სახელობის საუნივერსიტეტო სტიპენდია;
- ფრიდონ ხალვაშის სახელობის საუნივერსიტეტო სტიპენდია;
- ლევან მირცხულავას სახელობის საუნივერსიტეტო სტიპენდია.

ა) სახვითი, სასცენო და კინო-ტელე ხელოვნების ფაკულტეტზე:

- დავით კაკაბაძის სახელობის საფაკულტეტო სტიპენდია;
- იუსუფ კობალაძის სახელობის საფაკულტეტო სტიპენდია;
- ზაზა ხალვაშის სახელობის საფაკულტეტო სტიპენდია.

ბ) განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე:

- ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის საფაკულტეტო სტიპენდია;
- სულიკო ჟღენტის სახელობის საფაკულტეტო სტიპენდია.

გ) მუსიკის ფაკულტეტზე:

- ზაქარია ფალიაშვილის სახელობის საფაკულტეტო სტიპენდია.

საუნივერსიტეტო სტიპენდია განისაზღვრება ყოველთვიურად - 150 ლარის ოდენობით და საფაკულტეტო სტიპენდია ყოველთვიურად - 100 ლარის ოდენობით.

საკონკურსო სტიპენდიების გარდა წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილებით უნივერსიტეტში შეიძლება გაიცეს გამორჩეული მიღწეული წარმატებებისა და აქტიური სამეცნიერო-შემოქმედებითი საქმიანობისათვის ერთჯერადი სტიპენდია 300 ლარის ოდენობით.

ბხსუ-ში სტიპენდიების გაცემას არეგულირებს დებულება „ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტის წარჩინებულ სტუდენტთა სახელობითი სტიპენდიის გაცემის წესის შესახებ“. [http://basu.edu.ge/text\\_files/ge\\_file\\_2273\\_1.pdf](http://basu.edu.ge/text_files/ge_file_2273_1.pdf)

სტუდენტთა სახელობითი სტიპენდიის მოსაპოვებლად კონკურსს აცხადებს უნივერსიტეტის რექტორი. კონკურსის გამოცხადების შესახებ ინფორმაცია ქვეყნდება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე და ფაკულტეტების საინფორმაციო დაფებზე განცხადების მიღების ვადის დასრულებამდე არანაკლებ 10 კალენდარული დღით ადრე.

სტიპენდია ენიშნებათ სტუდენტებს სწავლების მესამე სემესტრიდან. საკონკურსო შერჩევის საფუძველზე სტიპენდია გაიცემა ბოლო ერთი წლის აკადემიური

შედეგების მიხედვით ერთი სასწავლო წლის ვადით 01 სექტემბრიდან 01 სექტემბრამდე.

➤ **საშემსრულებლო მიმართულებით** კონკურსში მონაწილეობის მისაღებად განაცხადის წარდგენის უფლება აქვთ უნივერსიტეტის აკადემიური უმაღლესი განათლების ორივე საფეხურის სტუდენტებს, სწავლების მეორე წლიდან, თუ:

ა) **საუნივერსიტეტო სტიპენდიის** მისაღებად კონკურსის გამოცხადების მომენტისათვის ბოლო ერთი წლის სასწავლო პროგრამით გათვალისწინებულ ყველა დისციპლინაში აქვს 91 და მეტი ქულა.

ბ) **საფაკულტეტო სტიპენდიის** მისაღებად სახელობითი სტიპენდიის კანდიდატს კონკურსის გამოცხადების მომენტისათვის ბოლო ერთი წლის სასწავლო პროგრამის სპეციალობის ძირითად დისციპლინებში აქვს 81 და მეტი ქულა; ყველა დანარჩენ დისციპლინაში კი აქვს შეფასება 71 და მეტი ქულა.

- შესაბამისი სპეციალობის მიხედვით აქვს შემოქმედებითი აქტივობა და წარმატებები (მონაწილეობა გამოფენებში, კონცერტებში, კონკურსებში, სპექტაკლები და ა.შ.)

➤ **თეორიული მიმართულებით** კონკურსში მონაწილეობის მისაღებად განაცხადის წარდგენის უფლება აქვთ უნივერსიტეტის აკადემიური უმაღლესი განათლების ორივე საფეხურის სტუდენტებს, სწავლების მეორე წლიდან, თუ:

ა) **საუნივერსიტეტო სახელობითი სტიპენდიის** კანდიდატს კონკურსის გამოცხადების მომენტისათვის ბოლო ერთი წლის სასწავლო პროგრამით გათვალისწინებულ ყველა დისციპლინაში აქვს 91 და მეტი ქულა.

ბ) **საფაკულტეტო სახელობითი სტიპენდიის** კანდიდატს კონკურსის გამოცხადების მომენტისათვის ბოლო ერთი წლის სასწავლო პროგრამით გათვალისწინებულ ყველა დისციპლინაში აქვს 91 და მეტი ქულა, ან გამონაკლის შემთხვევაში, დისციპლინების 1/4 -ში აქვს შეფასება 81 და მეტი ქულა.

- გამოქვეყნებული აქვს სამეცნიერო ნაშრომი შესაბამის სპეციალობაში ან არის სხვადასხვა სამეცნიერო ან სასწავლო კონფერენციების, სემინარების, სიმპოზიუმების და ა. შ. მონაწილე და აქვს მიღწევები.

✓ თითოეულ პრეტენდენტს აქვს მხოლოდ ერთი განაცხადის (საკონკურსო დოკუმენტაციის ან საუნივერსიტეტო ან საფაკულტეტო სტიპენდიაზე) წარდგენის უფლება.

✓ კომისიის მიერ არ განიხილება ფინანსური დავალიანების მქონე სტუდენტის განაცხადი.

✓ პროგრამული დაფინანსების მქონე სტუდენტს ეკრძალება კონკურსში მონაწილეობის მიღება.

✓ სტუდენტს სახელობით სტიპენდიასთან ერთად სხვა სახის სტიპენდია (მათ შორის სახელმწიფო სტიპენდია) არ მიეცემა, მას უფლება აქვს არჩევანი გააკეთოს სტიპენდიებს შორის.

**!** კომისია ახორციელებს სტიპენდიანტების მონიტორინგს. სტიპენდიანტის მიერ სტიპენდიის მინიჭების პირობების დარღვევის შემთხვევაში კომისია რეკომენდაციით მიმართავს რექტორს სტიპენდიის ვადამდე შეწყვეტის თაობაზე.